პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 მარტი შაბათი 1973 წელი 2 ფაფ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 70 (15587)

ეს დღეები საქართველოში

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის ხაავტომობილო ქარხნის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი დამკვრელური შრომით დაიწყო.

მიმდინარე წელს ავტოგამწვეები კაზ-608, ნახევარმისაბმელები კაზ-717 და 90-ზე მეტი დასახელების სათადარიგო ნაწილები 32 მისამართით გაიგზავნა. იანვარში გამოშვებულია 195 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ძრავების საამქროში შესანიშნავად ასრულებს თავის მოვალეობას ტექნიკური კონტროლიორი ნანი მუშკუდიანი. მას ცოდნა და გამოცდილება ყოველი დეტალის ხწორედ შეფასების საშუალებას აძლევს.

ნ. მუშკუდიანი შრომასთან წარმატებით ათავსებს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლას.

სურათზე: ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის ხაავტომობილო ქარხნის ძრავების საამქროს ტექნიკური კონტროლიორი კომკავშირელი ნანი მუშკუდიანი.

ბ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მთელი ენერგია — ხუთწლედს!

დიდი გადაჭარბებით

ფოთი. (სკკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის რეალიზაციის თებერვლის გეგმა 108 პროცენტით შეასრულეს, რეალიზებულია მილიონ 189 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

კვლავ სასახელოდ შრომობს წისქვილკომბინატის კოლექტივი, რომელმაც კარგად დაიწყო მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი და იანვარ-თებერვლის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულა. აქ გადაწყვეტილი აქვთ პირველი კვარტალის გეგმა და ვალდებულება 27 მარტისათვის შეასრულონ.

ქვარტალის გეგმა — ჭალაჭლე

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაება კონიაკის ქარხნის კოლექტივი. ნაყოფიერი შრომის შედეგად მეკონიაკეებმა პროდუქციის რეალიზაციის პირველი კვარტალის გეგმა 20 მარტისათვის შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 72 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია მოახდინეს.

ახლა წარმოების კოლექტივი გაცხოველებით ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის. აქ ყველაფერი გაიანგარიშეს და ერთსულოვნად გადაწყვეტეს: შაბათობის დღეს — 21 აპრილს იმუშაონ დაზოგილი ნედლეულით და გამოუშვან 1.000 დეკალიტრი კონიაკი, ხუთწლედის ფონდში ჩარიცხონ 45 ათასი მანეთი.

სათბოგი გადამეტებით

ახალციხე. (სკკ. კორ.). ახალციხის ქვანახშირის № 1 შახტის კოლექტივი ნაყოფიერად შრომობს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. სამთოელებმა მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ამოიღეს 12.017 ტონა ქვანახშირი, გეგმა კი 11.900 ტონას ითვალისწინებდა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა 5,2 პროცენტით.

თბილისური ფარი

თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობაზე წარმატებით იყენებდნენ მექანიზებულ ფარს, „105 თბილისურს“. ეს მძლავრი სამმაულო მექანიზმი შექმნეს მოსკოველმა კონსტრუქტორებმა სპეციალურად თბილისელი მეტრომშენებლებისათვის, ხოლო მის სრულყოფაში თავიანთი წვლილი შეიტანეს თბილვაგონრაბმშენის სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

ახლახან ცნობა მოვიდა, რომ სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შთაბეჭდილებებმა მეკანიზებული ფარის წარმატებით ათვისებისა და გამოყენებისათვის თბილგვირაბმშენის სამმართველო დაჯილდოვა გამოფენის დიპლომით. ეს ფარზე მომუშავე ინჟინერებს რ. ჭელიძესა და ა. კუსეინოვს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე ფულადი პრემიები გადაეცათ.

ჰ. კოგბიძე.

ქვანახშირი

ჰიათურა. (სკკ. კორ.). მაღაროელები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის და მამაცური შრომით ახალ ზეუდელებს იღებენ.

მარგანეტრანსტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს მადნის ელექტრომტვირთავი მანქანის მემანქანემ, სოციალისტური შრომის გმირმა პ. გოგატიშვილმა ხუთწლედის განვლილ ორ წელსა და ორთვენახევარში დატვირთა 43.659 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი და ხუთწლედის სამი წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

მის თანამოსაქმეს ი. ლომიძეს ხუთწლედის სამ წელში უნდა დაეტვირთა 39.232 ტონა მადანი. 14 მარტისათვის უკვე დატვირთა 40.879 ტონა და კარგახანია 1974 წლის ანგარიშში მუშაობს. წარჩინებულმა მბურღავმა ი. დარბაიძემ ხუთწლედის დაწყებიდან მოაგროვა 84.248 ტონა მარგანეცი და მომავალი წლის ანგარიშში შრომობს.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი პ. გოგატიშვილი.

ლ. ბრეჟნევმა მიიღო სადამ ჰუსეინი

23 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ერაყის რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სადამ ჰუსეინი, რომელიც მეგობრული ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირში.

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარების საკითხები საბჭოთა კავშირ-ერაყის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე. განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ურთიერთობის საკითხები, რომელსაც საფუძველად უდეს საერთო მიზნები იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის პროგრესისათვის ბრძოლაში.

გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ისრაელის აგრესია და აქტიურდება ძირგამომთხრელი საქმიანობა იმპერიალიზმისა და რეაქციისა ამ რაიონში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი მოწესრიგება და მშვიდობის აღდგენა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ მთლიანად განთავისუფლდება ისრაელის აგრესიის შედეგად ოკუპირებული არაბული ტერიტორიები.

მხარეებმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება ყველა დარგში საბჭოთა კავშირ-ერაყის მეგობრული ურთიერთობის მდგომარეობის გამო და სურთხო მისწრაფება კიდევ უფრო განავითარონ ეს ურთიერთობა ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი ე. მ. სამატინენი, აგრეთვე ერაყის რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი მურთად საიდ ალდელ ბაკი და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი მუჰამედ ფადილი. (საკდესი).

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ერევანი. 22 მარტი. (საკდესი). დღეს გაიმართა სომხეთის კომპარტიის (ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა გ. ა. ტერ-გაზარიანცი სომხეთის კომპარტიის (ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან დიპლომატიურ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სომხეთის კომპარტიის (ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია პ. პ. ანისიმოვი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ (ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ (ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ნ. ა. პეტროვიჩევი.

ამიღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

23 მარტს საქართველოს კომპარტიის (ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩურკინმა მიიღო მეოხუთეს 20 ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე ქართველ სპორტსმენთა ჯგუფი და მათი მწვრთნელები.

შეხვედრაზე მოვიდნენ სახელგანთქმული ქართველი სპორტსმენები — ლ. თედიაშვილი, შ. ჩოჩიშვილი, ზ. საკანდელიძე, დ. შანიძე, ო. თხაკაძე, მ. ხერცილავა, რ. ძოძუაშვილი, თ. ლეკვეიშვილი, ქ. ლოსაბერიძე, ჯ. მეგრელიშვილი, გ. გოგოლაური, გ. ნასყიდაშვილი, მწვრთნელები ვ. ბალაკინი, გ. პაპიტაშვილი, ა. ციხილავა, ა. მატკავა, ო. ქორქია, ს. თორთლაძე, შ. წერეთელი, ვ. ჯობაძე, ბ. მაზიაშვილი, მ. ტატიშვილი, შ. ჯაშიაშვილი.

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა სახელით, თქვა ა. ჩურკინმა, მოგილოცოთ თქვენ, სახელგანთქმულ ქართველ სპორტსმენებსა და თქვენს მწვრთნელებს და გისურვოთ დიდი წარმატებანი სპორტში, პირადი ბედნიერება და ჯანმრთელობა. რამდენიმე თვის წინათ მთელი პლანეტის სპორტის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილი იყო მიუნხენზე, სადაც მიმდინარეობდა 20 ოლიმპიური ასპარეზობა. ასპარეზობაში მონაწილეობდა საბჭოთა სპორტსმენების უზარმაზარი რაზმი, რომელთაგან ბევრმა ბრწყინვალე წარმატებანი მოიპოვა. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა მიუნხენიდან ჩამოიტანეს 50 medალი, 27 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოს medალი.

ოლიმპიადაზე კარგად გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები. 16 სპორტსმენიდან 14 სპორტსმენმა საბჭოთა გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცა. ოქროს medალები მოიპოვეს მოჭიდაობებმა, თედიაშვილმა და შ. ჩოჩიშვილმა, მძლეოსანმა ვ. სანეიევმა და ალათაბურთელებმა ზ. საკანდელიძემ და მ. ქორქიამ, ნიჩბოსანმა ვ. ციხატასიო�მა, ვერცხლის medალით დაჯილდოვდა შტანგისტი ფ. შანიძე, ბრინჯაოს ჯილდოები გადაეცათ ველოსიპედისტს ო. თხაკაძეს, ხიბარტრელებს მ. ხერცილავას, რ. ძოძუაშვილს, მოჭიდავეს გ. ონაშვილს.

ამ მიღწევებში დიდი შრომა ჩაქსოვეს ქართველმა მწვრთნელებმა. მხოლოდ მათი ბიჯითი, შეუპოვარი შრომით ვახდა შესაძლებელი, რომ ქართველმა სპორტსმენებმა ასეთი წარმატებანი მოიპოვეს.

ნება მიბოძეთ თქვენს მწვრთნელებს მივილოცო, რომ მოწაფეებმა გაამართლეს მათი ნდობა, ვუსურვოთ დიდი წარმატებანი ძალიან რთულ, მაგრამ საპატიო მუშაობაში.

მთავარი, თქვა შემდეგ ამხ. ჩურკინმა, ის არის, რომ არ გაყოყოჩდეთ, არ დასჯერდეთ მიღწეულ წარმატებებს, იბრძოლოთ ახალ-ახალი მიღწევებისათვის ყველა სახეობის ფიზიკურ კულტურასა და სპორტში. თქვენ მოგელით დიდი სპორტული ასპარეზობა, და ქართველმა სპორტსმენებმა — დიდი სპორტული ტრადიციების მემკვიდრეებმა — ბევრი რამ უნდა გააკეთონ, რათა პირნათლად ატარონ საბჭოთა სპორტის დროშა.

ქართველ სპორტსმენთა სახელით მიღებაზე გამოვიდნენ თ. ლეკვეიშვილი და რ. ძოძუაშვილი. მამ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას საბჭოთა სპორტის განსაკუთრებულად დაუცხრომელი ზრუნვისათვის და აღუთქვეს, რომ საბჭოთა სპორტსმენები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მოიპოვონ უკეთესი მაჩვენებლები.

ქართველ სპორტსმენები — მიუნხენის 20 ოლიმპიურ ასპარეზობათა მონაწილენი და მათი მწვრთნელები დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელებით. მათ გადაეცათ ოქროვანი ფასიანი საჩუქრები.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები პ. გელაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ო. ჩერქეზიანი, ჯ. პატაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

(საქინფორმი).

„ლოენგრინის“ ახალი სიცოცხლე

ვაგნერის ოპერის პრემიერა

23 მარტი დიდხანს ეხსომებათ მუსიკის მოყვარულთა.

ნახევარი საუკუნის შემდეგ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში კვლავ უფლერდა ვაგნერის დიდებული მელოდია.

დარბაზში არიან ზაარის მხარის კულტურის მინისტრი ვერნერ შერერი, ზაარბრიუკენის ბუნგომისტრი ედმუნდ ჰასდენტეიფელი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულ ტურისტთა დიდი ჯგუფი.

გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორის ოპერა დადგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემოქმედებითმა ჯგუფმა, რომელშიც შედიან მთავარი რეჟისორი გერმან ვედეკინდი, დირიჟორი ზიგფრიდ კელერი, მხატვარი ვალტერ გონდოლფი, მხატვარ-განმანათებელი ჰერბერტ ვალშაიდტი. მთავარი პარტიები შესრულეს ერიკა უფმაგენმა (ელზა), ნოდარ ანდღულაძემ (ლოენგრინი) და დუშან პოპოვიჩმა (ტელრამუნდი).

პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მაყურებელნი დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან და ალტაცებით უკრავდნენ ტაშს გერმანელ სოლისტებსა და სპექტაკლის დამდგმელებს.

ასალი სახეობის ქაღალდი

კრასნოიარსკი (პერმის ოლქი). 22 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს ცელულოზა-ქაღალდის კომბინატმა გამოუშვა თხელი ოფსეტური ქაღალდის საცდელი პartია.

ასეთი ქაღალდი ბევრად სჯობს წინანდელს. მისი დამზადებისათვის არ არის საჭირო დეფიციტური კოლოფონის წებო. ქაღალდს დიდ ტენგამძლეობას ანიჭებენ კოლოფონის საიმედო შემცვლელები — ქიმიური დანამატები. ქაღალდი ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო მსუბუქია. ამიტომ მისი წონა ყოველ ტონა წიგნზე 20 პროცენტით მცირდება. მაგალითად, ასეთ ქაღალდზე დაბეჭდილი სახელმძღვანელობები უფრო კომპაქტური და მოსახერხებელი იქნება.

ციგბირული ოვილანი

კრასნოიარსკის ხელოვნური ბოჭკოს ქარხანაში მიღებულია საბჭოური ოვილანის — ახალი მოცულობითი ვისკოზური ბოჭკოს პირველი საცდელი partია, რომელიც ფართო გამოყენებას პოვებს ხალიჩისა და დეკორატიული ქსოვილების წარმოებაში.

ეს სიახლე შექმნეს საბჭოთა კავშირის ხელოვნური ბოჭკოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა, რომლებმაც შეძლეს ვისკოზური ბოჭკოს სტრუქტურის შეცვლის შედეგად მისთვის დიდი მოცულობითობა მიენიჭებინათ.

ოვილანში ხარისხით არ ჩამორჩება ნატურალურ ბოჭკოებს და სჯობია სხვა სინთეზური მასალებისგან დამზადებულ მოცულობითს ძაფებს.

სოფელ ცხოვროგდა ილიჩის და

ვოლოგდის საოლქო მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ნახევარი საუკუნე ულრულდება. ამ დროის განმავლობაში აქ შეკრებეს დიდძალი ძველი ძეგლები, თანამედროვეობის ამსახველი დოკუმენტები და მასალები. მარტო საბჭოთა საზოგაოოების ისტორიის განყოფილებაში მუზეუმს 35 ათასი ექსპონატი აქვს.

მუზეუმთან მოქმედებს რამდენიმე ფილიალი. ერთი მათგანი მოთავსებულია საბჭოთა პროსპექტის ერთ-ერთ ორსართულიან ხის სახლში, სახლის ფასადზე გამოკრულია მარმარილოს დაფა, რომელზეც წერია, რომ აქ „1913 წლის აგვისტოდან 1914 წლის სექტემბრამდე გადასახლებაში ცხოვრობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე მარიამ ილიას ასული ულიანოვა დედასთან მარიამ ალექსანდრეს ასულთან ერთად. რამდენიმე წლის წინ რესტავრირებულ სახლში მთლიანად არის აღდგენილი ბინა, სადაც ცხოვრობდნენ ლენინის და და დედა.

(საკდესის კორ.).

მიფრინავს „კოსმოს-552“

1973 წლის 22 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-552“. თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია კოსმოსური სივრცის შემდგომი კვლევისათვის.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

რევოლუციის მგოსანი

ვლადიმერ მაიაკოვსკის იუბილესათვის

ნელს ზაფხულში სრულდება გამოჩენილი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 80 წელი.

— ამ თარიღს, — თქვა მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ, — ფართოდ აღნიშნავენ არა მარტო პოეზიის მოყვარულნი, არამედ ისინიც, ვისთვისაც ძვირფასია მაიაკოვსკი-ტრიბუნი, რომელიც დღესაც, „როგორც ცოცხალი ცოცხალს“, ისე ესაუბრება მთელი დედამიწის მილიონობით მებრძოლს სოციალური პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

მაიაკოვსკის მებრძოლი ლექსი, რომელიც სავმბრო საქმეებისათვის მოგვიწოდებდა, აკისკრავნებდა უვალ გზებსა და ბილიკებს, რომლებიც ღრესეულად გამოიარა ჩვენმა ხალხმა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

დღესაც მოწოდებად გაისმის პოეტის ლექსი. ამიტომ არის, რომ იგი ერთნაირად ძვირფასია რუსისა და ბელორუსისათვის, უკრაინელისა და ყირგიზისათვის, სომეხისა და აზერბაიჯანელისათვის — ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. და მაინც ჩვენ, ქართველები, განსაკუთრებით ვამაყობთ, რომ მაიაკოვსკი ქართულ მიწაზე დაიბადა და გაიზარდა.

„ერთი ბაბუა მყავს კაზაკი,
— ერთიც სეჩელი,
მე კი ქართველი ვარ დაბადებით“. — წერდა მაიაკოვსკი ლექსში „ვლადიკავკაზი-თბილისი“.

რევოლუციის პოეტს საქართველო მიაჩნდა თავის სამშობლოდ. მას მიუძღვნა ბევრი განუმეორებელი სილამაზისა და ღრმაზრიანი სტრიქონი. განა აღიღლეებლად შეგიძლიათ წაიკითხოთ:

„მე ვიცი უმღერდნენ ედემს და
სამოთხეს,
მაგრამ თუ ლექსავდნენ
ოცნებით,
ალბათ საქართველო
ედემად გამოჭყვეს,
მასზე თუ გალობდნენ
მგოსნები“.

მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად საქართველო ემზადება ფართოდ აღნიშნოს პოეტის 80 წლისთავი. ვ. მაიაკოვსკის 60 წლისთავის აღსანიშნავად შექმნილ მთავრობის რესპუბლიკურ საიუბილეო კომისიაში შეეკრიბნენ თვალსაჩინო ქართველი ლიტერატორები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული და საზოგადო მუშაკები. ეკრ შემუშავებულია საიუბილეო ზეიმის ღონისძიებათა გეგმები. გაიმართება ლექციები, მოხსენებები, საღამოები, შეხვედრები, რომლებიც პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნება.

საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოაწყობენ ვ. მაიაკოვსკის იუბილესადმი მიძღვნილ გაერთიანებულ სამეცნიერო სესიას.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმსა და კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყობა გამოფენები, სტენდები და ფოტოდოკუმენტები, რომლებიც გაგვაცნობენ მაიაკოვსკის, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, პოეტის როლსა და ადგილს საბჭოთა პოეზიაში, მსოფლიო ლიტერატურაში.

იუბილესთვის მზადების დღეებში ნაჩვენები იქნება პოეტისადმი მიძღვნილი კინოფილმები, გაიმართება ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებთა მხატვრული კითხვის საღამო-კონკურსი, გაზეთებსა და ჟურნალებში დაიბეჭდება სტატიები, მოგონებანი და სხვა მასალები პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. რადიო და ტელევადაცემები მიეძღვნება რევოლუციის მგზნებარე მგოსნის შემოქმედებას.

რესპუბლიკის გამომცემლობანი გამოსაცემად ამზადებენ პოეტის ნაწარმოებებს, პოეტის დის ლუდმილა მაიაკოვსკის მოგონებას „მაიაკოვსკი და საქართველო“, ლიტერატურას პოეტის შესახებ.

თბილისში საძირკველი ჩაეყრება ვ. მაიაკოვსკის ძეგლს, მისი სახელობის სტიპენდია დაწესდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

საქართველოში უკანასკნელი ჩამოსვლის დროს, 1927 წელს, მაიაკოვსკიმ რუსთაველის სახელობის თეატრში წაიკითხა თავისი ლექსები. დიდი აღიარების სიმბოლო იყო მქუხარე ტაში რუსი პოეტისადმი, რომელმაც ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ქართული ჰეროიკული პოეტიკის საუკეთესო ტრადიციები. შემდგომში ეს აღიარება გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, მაგრამ საქართველოსთვის, ქართული ლიტერატურისათვის მაიაკოვსკი სამუდამოდ დარჩა მშობლიურ მგოსნად.

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ამ თეატრში გაიმართება ვ. მაიაკოვსკის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო. იუბილეს ღღეებში რუსთავის თეატრი აჩვენებს სპექტაკლს ვ. მაიაკოვსკის პიესის „ბანიოს“ მიხედვით.

მაგრამ, უნდა ითქვას, ყველაზე ზეიმური იქნება საიუბილეო ღღეები სოფელ ბაღდადში — ახლანდელ მაიაკოვსკში, სადაც დაიბადა პოეტი, და ქუთაისში, სადაც სწავლობდა იგი გიმნაზიაში და სადაც ქალაქის ერთ-ერთ სასაფლაოზე დაკრძალულია პოეტის მამა — ვლადიმერ მაიაკოვსკი.

თვალწარმტაცი ადგილას მოჩხრილი ხანისწყლის ნაპირზე, ტყის პირას ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმია. ამ სახლში მოდამ მოდიან მგოსნის თაყვანისმცემლები, მაგრამ 80 წლისთავის იუბილეს წინ განსაკუთრებით ბევრი იქნება — ნახოს სახლი, სადაც მაიაკოვსკი დაიბადა. აქ ამზადებენ ახალ ექსპოზიციას. საიუბილეო ზეიმის დღეებში სახლ-მუზეუმის გვერდით აღიმართება მაიაკოვსკის ძეგლი, რომლის ავტორია მოქანდაკე ბ. ქვეხიშვილი.

მაიაკოვსკიდან და ქუთაისიდან საიუბილეო ზეიმის მონაწილენი და სტუმრები გაემგზავრებიან გელათს, სადაც საქართველოს ძველი აკადემიის ნანგრევებზე აღიღრდება ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსები.

გადაწყვეტილია მაიაკოვსკის იუბილეს აღსანიშნავად მოეწყოს საბჭოთა პოზიის ალბომი. მაიაკოვსკის უკვდავ ქმნილებებთან ერთად რუსულად და ქართულად წაიკითხავენ საქართველოს თანამედროვე პოეტების, საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლების ლექსებს. მსმენელთა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე გამოვლენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი პოეტები, ქართული ლიტერატურის საუკეთესო მეგობრები — ქართული ენიდან მთარგმნელები, ბავეიზიერებენ თავიანთ შემოქმედებითს გეგმებს, გვიამბობენ, თუ რა მუშაობას ეწევიან ქართული საბჭოთა ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის.

პოეტის იუბილე ერთხელ კიდევ დაადასტურებს თანამედროვე მსოფლიო პოეზიის გამორჩენილი წარმომადგენლის, იმ კაცის უდიდეს პოპულარობას, ვისი შემოქმედებაც შთააგონებს და აღაფრთოვანებს ადამიანთა ბევრ ახალ თაობას. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

მაღალი მომთხოვნელობის ნიშნით

ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

ქრ.ბ.ბ.ისა და თვითკრიტიკის, მაღალი მომთხოვნელობის ნიშნით ჩაიარა ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელშიც განხილა საკითხი: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგები და ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში“.

როგორც მომხსენებელმა — პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ხაბეიშვილმა, ისე კამათის მონაწილეებმა: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამმართველმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხაზარაძემ, წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა შ. რამიშვილმა, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის დირექტორმა შ. სანიკიძემ, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა ა. დადუნაშვილმა, გაზეთ „აუტაისისკია პრავდას“ რედაქტორმა მ. ნინუამ, სკკპ წევრმა 1918 წლიდან, პენსიონერმა პენსიონერმა ა. ჭკადუამ, ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ა. ბარათაშვილმა და სხვებმა, საფუძვლიანად, პარტიული პირდაპირობითა და გულადმოლობით გაუკეთეს ანალიზი გაწეულ მუშაობას, ამხილეს ნაკლოვანებანი და წამოაყენეს წინადადებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებას, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფას.

კრებაზე აღინიშნა, რომ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად. მიმდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მათ ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

მაგალითად, ქალაქის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის 1972 წლის დავალება 102,4 პროცენტით შეასრულა, გეგმის ზეკით რეალიზებულია 10.682.000 მანეთის პროდუქცია. წარმოების მოცულობა გაიზარდა 8,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4,6 პროცენტით. ძირითადი საგეგმო დავალებანი შეასრულეს სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებმა. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი, მოსახლეობის საზოგადოებრივი ფონდები, საგალო საქონელბრუნვისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან ქალაქის მშრომელთა ბრძოლას ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, გაიმალა ყველგან სოციალისტური შეჯიბრება.

ამასთან ერთად აქტივის კრებამ აღნიშნა, რომ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კულტურისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და გადაუჭრელი პრობლემები. ბოლო წლებში რამდენადმე იმატა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვმა. მარტო გასულ წელს 8 საწარმომ ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. ბამბეულის საქსოვმა გაერთიანებამ, ტყავფეხსაცმლის, ხაშენ მასალათა, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების საწარმოო კომბინატებმა, № 4 სამშენებლო ტრესტის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანამ სახელმწიფოს დააკლეს 6.600.000 მანეთის საქონლეული პროდუქცია. სამრეწველო საწარმოთა 30 პროცენტმა ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი, პროდუქციის თვითღირებულება გაძვირდა ცხრა საწარმოში, ხოლო მოგების გეგმა ვერ შეასრულა 15-მა.

სერიოზული ნაკლოვანებებია მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა დანერგვაში, მოქმედი სიმძლავრეების გამოყენებაში. დაბალ დონეზეა საწარმოო და შრომის დისციპლინა, საკვლევ დავალებათა შესრულებას საგრძნობ ზიანს აყენებს პროდუქციის ცუდი ხარისხი. ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა გასულ წელს პროდუქციის უხარისხობის გამო 748 რეკლამაცია მიიღეს და 610.000 მანეთის ჯარიმა გადაიხადეს. არამწარმოებლურმა ხარჯებმა 1.133.000 მანეთს გადააჭარბა. 800 დასახელების ნაწარმიდან მხოლოდ ორს აქვს მიკუთვნებული სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

ზოგიერთ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებმა — 2657-ს ხელმძღვანელობდა, 1965 წელს ზესტაფონის რაიონის ჩოლაპერის კარიერთან რკინიგზის გადასასვლელზე მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, რამაც მგზავრები იმსხვერპლა. იმავე წლის 7 მაისს პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მას მხოლოდ სასტიკი საყვედური გამოუცხადა. დეკემბერში კი ტაქსომოტორული საწარმოს დირექტორად დაამტკიცეს. ამასთან რამდენიმე ხნის შემდეგ იგი საპატიო ნიშნის ორდენითაც დაჯილდოვდა. ბ. შვანგირაძე ასევე ვერ ამოძვრეს თავს მუშაობას, ვერ იჩენს მომთხოვნელობას. ამიტომ კვლავ ირღვევა ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები, ხოლო ტაქსის ბევრი მოფერი ძველებურად ეწევა გამოძალვა. ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციის სუსტი მუშაობის გამო არ სრულდება საქონელბრუნვის გეგმები. დაბალია მოსახლეობის ბრძოლაზრების კულტურა. უხეშად ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები. ასევე სერიოზული ნაკლოვანებებია მშრომელთა კომუნალურ, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საქმეში.

სამწუხაროდ, პარტიის საქალაქო კომიტეტმა, პირველერგში მისმა ბიურომ ვერ უზრუნველყო მრეწველობისადმი მეენერგიული ხელმძღვანელობა, ვერ შეეშალა ისეთი ატმოსფერო, რომ მრეწველობის ზრდის ტემპი ყოფილიყო ბალადი, ჯერჯერობით გამოიყენებინათ მეცნიერთა კადრები და ეფექტური პერსპექტივებზეც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომის დადგენილების შედეგების განხილვის შემდეგ შრომითს კოლექტივებში იგრძნობა მაღალი პრინციპულობისა და ურთიერთმოთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარება, აშიშვლდა კომუნისტების აქტივობა, ხოლო პარტიული ორგანიზაციების როლი — სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ პარტიული მუშაობის დონე ჯერ კიდევ სრულიად არ შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე გაზრდილ ამოცანებს. ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, ზოგჯერ ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას თავს იჩენდა სუბიექტივიზმი და არაპარტიული, არასახელმწიფოებრივი მიდგომა. ამის გამო კომუნისტები, მშრომელები სერიოზულ კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ ამ ბოლო დროს გამართულ კრებებზე და თათბირებზე, საქალაქო კომიტეტში, ზემდგომ ორგანოებში გაგზავნილ მრავალრიცხოვან განცხადებებსა თუ საჩივრებში.

პარტიის საქალაქო კომიტეტი და საწარმო-დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები საჭირო ენერგიულ და მიზანსწრაფულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას არ აჩაღებდნენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის, სიტყვას ყოველთვის არ ეფარა

საერთაშორისო

ბიბლიოთეკა

ჟენევა

ნაყოფიერი თანამშრომლობა

22 მარტი. (საკლესი). როცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ჯგუფის წინაშე გამოვიდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ნოადგილე კ. რაში შეეხო საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ ასპექტს. მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას.

1972 წლის მაისში უმაღლეს დონეზე მოსკოვის მოლაპარაკებამ, განაცხადა რაშამ, „დასაბამი მისცა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელსაყრელი ურთიერთობის ახალი სტრუქტურის დაწყებას“. შარშან, აღნიშნა მან, დაიდო უფრო მეტი ამერიკა-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, ვიდრე რომელიმე სხვა წელიწადს 1933 წლიდან, როცა დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

შეეხო რა სხვა საერთაშორისო პრობლემებს, რაშამ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „კვლავ სწავლობს იმ გაკვეთილების მნიშვნელობას, რომლებიც უნდა გამოიტანოს ვიეტნამის ომში ნვენი მონაწილეობიდან“. შეერთებული შტატები, თქვა მან, მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის განცხადებას, რომ ვიეტნამის კონფლიქტის მოწესრიგება „მოწმობს, რომ შეიძლება გამოვნახოთ მშვიდობიანი და საშარლიანი გადაწყვეტანი სხვა კონფლიქტური სიტუაციებისათვისაც, აღმოფხვრათ ჯერ კიდევ არსებული ომის ხაშიში კერები, უშინარეს ყოვლისა ახლო აღმოსავლეთში“.

პრეზიდენტ ნიქსონის მოხსენება კონგრესისადმი

23 მარტი. (საკლესი). პრეზიდენტმა ნიქსონმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა მოხსენება, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკის საკითხებს.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. „1972 წლის მაისში პრეზიდენტმა ნიქსონმა, — ნათქვამია მოხსენებაში, — გამართა ისტორიული თათბირი უმაღლეს დონეზე ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან მოსკოვში. ამ შეხვედრის დროს ორი ხელმძღვანელი დათანხმდა გაფართოონ ეკონომიური კავშირურთიერთობა ორ ქვეყანას შორის“.

მოხსენებაში ჩამოთვლილია ხელშეკრულებები, რომლებსაც შარშან მოაწერეს ხელი ორ ქვეყანას შორის, კერძოდ ფოსფოს მომცველი სავაჭრო შეთანხმება, შეთანხმებანი კრედიტების მიღების, ლენდ-ლიზით ანგარიშსწორების მოწესრიგების, საზღვაო ტერორიზიდვის ნორმალიზაციის შესახებ და სხვ.

მოხსენებაში აღნიშნულია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო გაცვლის მნიშვნელოვანი ზრდა ამ შეთანხმებების შედეგად და ხაზგასმულია ორი ქვეყნის ურთიერთდაინტერესება სავაჭრო და ეკონომიური კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარებით. მოხსენების მიხედვით, ამას „საფუძვლად უდევს შესაძლებლობა ახალი ერთობლივი პროგრამებისა, რომლებიც უნდა შეისწავლოს და განსაზღვრონ“.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი დაბრკოლება სოციალისტურ ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის გზაზე, არის „მაღალი დონე ბაჟისა იმ საქონლის იმპორტზე“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს შემოაქვს ამ ქვეყნებიდან. ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის უქონლობას ნათქვამია მოხსენებაში, სოციალისტური ქვეყნები მიიჩნევენ თავიანთ დისკრიმინაციად ვაჭრობაში, და დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ვაჭრობის პირობები ამ ქვეყნების მიმართ. იყოს ისეთივე, როგორიცაა სხვა რომელიმე ქვეყნის მიმართ.

პრეზიდენტი ნიქსონი აანალიზებს საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობას და აცხადებს: „ჩვენი მთავარი სიძნელეები იქნიან ევროპის ეკონომიკურ ბრძოლებთან, რომ ძალიან დიდხანს ვეყრდნობოდით მოძველებულ ეკონომიურ შეთანხმებებსა და ინსტიტუტებს, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა მსოფლიოში სწრაფად იცვლებოდა“. ნიქსონი აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერი კონკურენტი გახდა, რომ ამერიკელებს არ შეუძლიათ არ გაუწიონ ანგარიში ამ ისტორიულ ცვლილებებს და ბევრი უნდა იშრომონ, რათა „უფრო ეფექტიანად აწარმოონ კონკურენცია ბრძოლა-მსოფლიოს ბაზრებზე“.

საერთაშორისო სავალუტო სისტემის ახლანდელი კრიზისი, ხაზს უსვამს პრეზიდენტი, დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა პარტნიორებმა „განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ კონსტრუქციული რეფორმებს.

ეგვიპტის მთავრობის ნოტა

კაირო, 22 მარტი. (საკლესი). ამასწინანდელი გადაწყვეტილება ისრაელის ამერიკული შეტევითი იარაღის ახალ პარტიათა მიწოდების შესახებ ადასტურებს, რომ შეერთებული შტატები აღდას ტელ-ავივის ექსპანსიონისტური პოლიტიკის მხარდაჭერის კურსს. ამაზეა ლაპარაკი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის ნოტაში, რომელიც, როგორც დღეს იუწყება კაიროს პრესა, გადაეცა კაიროში აკრედიტებულ არაბულ სახელმწიფოთა ელჩებს. ნოტაში ნათქვამია, რომ არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს მომავალ სხდომაზე და არაბული ქვეყნების გენერალური შტაბების უფროსების თათბირზე ეგვიპტე გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატების ამ ახალი ნაბიჯისა-�ა, რომელიც აქეზებს ისრაელ აგრესორს, და განაცხადებს, თუ რა ღონისძიებებს განახორციელებს ამასთან დაკავშირებით.

ისრაელის აზრით, ხაზგასმულია ნოტაში, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ დახმარება ნიშნავს, რომ ვაშინგტონს მოსწონს თავისი აგრესიული კურსი, რაც საშუალებას აძლევს ისრაელის მმართველ წრეებს კვლავინდებურად უგულებელყონ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებანი.

ეგვიპტის აზრით, ამ გარიგების ახალი ელემენტი ის არის, რომ იგი დაიდო უშუალოდ მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ვიზიტი. იყვნენ თვალსაჩინო არაბი პოლიტიკური მოღვაწენი.

დასასრულ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ ტელ-ავივ-ვაშინგტონის ღერძის განვითარებაში გადადგმულია მეტისმეტად საშიში ნაბიჯი, რომლის უარადღებოდ დატოვება არ შეიძლება, და გამოთქვამს რწმენას, რომ სხვა არაბული ქვეყნების თავმჯობეები და ხალხები აგრეთვე ჯეროვანი სერიოზულობით მოეკიდებიან მეერთებული შტატების მიერ ისრაელისთვის შეიარაღების ახალ პარტიათა მიწოდებას.

ბონი

პეკინის საევროპო პოლიტიკა

22 მარტი. (საკლესი). გაზეთმა „ნოიე რაინ-�ეტუნგმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეძღვნება პეკინის პოლიტიკას ევროპის ხალხთა-მეზობლებისადმი. როგორც გაზეთი წერს, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მთელი ფილოსოფია მეტად ტლანქი და მარტივია: „ის, რაც სასარგებლოა რუსებისათვის, ცუდია, ის, რაც მათ ზიანს აყენებს, კარგი“.

ამიტომ ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიდი მოლაპარაკების დროს, წერს შემდეგ გაზეთი, დასავლეთის მხარეს ჰყავს მდუმარე მოკავშირე, რომელიც მოლაპარაკებთან მაგიდასთან არ ზის, — ეს ჩინეთია. გადაკარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პეკინი მხარს უჭერს ნატოს ძლიერ ორგანიზაციას. „დასავლეთ ევროპას, — ამბობენ პეკინში, — უნდა ჰქონდეს საკუთარი ატომური საფრთხობელა“.

ამ კონცეფციის შესაბამისად, წერს გაზეთი, „ჩინელებს არ სიამოვნებთ ევროპის კომუნისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთგაგება“.

კაკმი

საბჭოთა გამოფენა

ر ر ش ი

22 მარტი. (საკლესი). რუხის ერთ-ერთ საბრეწველო ცენტრში — ქალაქ ბაბში გაიხსნა დიდი გამოფენა. იგი ასახავს, თუ როგორ ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებმაც ამას წინათ აღნიშნეს თავიანთი სახელმწიფოს 50 წლისთავი.

აქ ფართოდ არის წარმოდგენილი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ლიტერატურა: პოლიტიკური წიგნები, რუსული და საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები, მხატვრული რეპროდუქციათა ალბომები.

დამთვალიერებლებთა დიდ ინტერესს იწვევს ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები: ხის ნაწარმი, მხატვრული მოხატულობა. ხალხმრავლობაა სტენდთან, რომელიც დამთვალიერებლებს აცნობს ტურისტულ მარშრუტებს საბჭოთა კავშირში. ახალგაზრდებს იზიდავს საბჭოთა ფირფიტები, საფოტო მარკები.

გამოფენის ფარგლებში ეწყობა „კონკურსი თემაზე: „რა იცით საბჭოთა კავშირის შესახებ“. კონკურსის გამარჯვებული მიიღებს საციალურ პრიზს — ტურისტულ საგზაურს სსრ კავშირში სამოგზაუროდ.

გამოფენის გახსნისას სიტყვა წარმოთქვა ჰამის ობერ-ბურგომეისტრმა გ. რიხჩემ, რომელიც მხარი დუჭირა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, ორი ქვეყნის ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას.

ბრიუსელი

საკალალო სტატისტიკა

23 მარტი. (საკლესი). უმუშევართა რიცხვი „საერთო ბაზრის“ მონაწილე ექვს ქვეყანაში („საერთო ბაზარში“ ინგლისის და სხვა ქვეყნების შესვლამდე) 1971 წლის 1,4 მილიონი კაციდან 1972 წელს გაიზარდა 1,6 მილიონამდე და ეს ციფრი კვლავ განუწყვეტელივ ეზრდებოდა. ეს განაცხადა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ევროპის გაერთიანებათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ პ. ჰილერიმ. მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არის საკმარისი ღონისძიებანი, რომლებსაც მიმართავენ ამ მწვავე პრობლემის გადასაჭრელად.

შეეხო რა დასავლეთ ევროპაში მიღიონობით უცხოელი მუშის მდგომარეობას, ჰილერი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ისინი ცხოვრობენ მძიმე მატერიალურ პირობებში და წარმოუდგენელ ეკონომიურ უფლებებში.

ბუენოს-აირესი

ტანკები პოლიციის წინააღმდეგ

22 მარტი. (საკლესი). ქვეყნის ექვს ცენტრალურ პროვინციაში 40 ათასზე მეტმა არგენტინელმა პოლიციელმა შეწყვიტა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ხელისუფლებმა უარი უთხრეს ხელფასის მომატებაზე. დაუცველი დარჩა ბანკები, სახელმწიფო დაწესებულებანი.

გენერალ ლანუსეს სამხედრო მთავრობამ პოლიციელებს მოსთხოვა განაახლონ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნათქვამია გრძანებაში, მათ სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს გადასცემენ. მაგრამ პოლიციელებმა უარი თქვეს შესასრულონ მთავრობის განკარგულება, სანამ არ დაკმაყოფილებენ მათს მოთხოვნებს.

ქალაქ ლა-პლატაში ერთ პოლიციელთა წინააღმდეგ, რომელმაც მთავრობის ბრძანება არ შეასრულეს, გამოიყენეს სატანკო ქვეითნაყოფები და ჯარები, ორიგე მხარეს ჰყავს დაჭრილები და დაზიანებული.

ნიუ-იორკი

მოწმეთა ჩვენებები ამცილებენ

23 მარტი. (საკლესი). ლოს-ანჯელესში მიმდინარე სასამართლო პროცესზე ამერიკელი მეცნიერებმა დ. ელსბერგისა და ე. რუხოს „ხაჭიხ“ გამო გრძელდება დაცვის მოწმეთა გამოსვლები.

უპასუხა რა მოსამართლეთა კითხვებზე, პენტაგონისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილმა მაღალი თანამდებობის თანამშრომელმა დოქტორმა მ. გალპერინმა მთლიანად ამხილა ხელისუფალთა მიერ მეცნიერებისათვის წაყენებული ბრალდება — „სახელმწიფო ქონების მოპარვა“. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ პენტაგონის მოხსენების პირი, რომელიც „რენდ კორპორეიშნში“ ინახებოდა, არ წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საკუთრებას. მოწმის სიტყვით, ეს პირი ეკუთვნოდა მას და პენტაგონის ორ სხვა თანამშრომელს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მოხსენების მომზადებას და რომელებმაც დოკუმენტების პირი გადასცეს მხოლოდ დროებით შესანახად. ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად, რომელიც ადასტურებს გალპერინის ჩვენებებს, სასამართლოს წარუდგინეს მისი წერილი „რენდ კორპორეიშნის“ — იმ კერძო კვლევითი კორპორაციის პრეზიდენტისადმი, რომელიც მთავრობის სხვადასხვა დაწესებულების, უმთავრესად, პენტაგონის შეკვეთებს ასრულებს.

1969 წლის გაზაფხულზე, მოწმის ხიტყვით, მან მიიღო „პენტაგონის დოკუმენტების“ პირის ორი სხვა მფლობელის თანხმობა და ნება დართო პროფესორ ელსბერგს გამოეყენებინა ეს მასალები მის ახალ ნაშრომში, რომელსაც ეწოდებოდა „ვიეტნამში მიღებული გაკვეთილები“.

დოქტორ გალპერინის ჩვენებები აბათილებენ ხელისუფალთა მიერ წაყენებულ კიდევ ერთ ბრალდებას — დოკუმენტების „უკანონოდ გამოყენებისა“ და „მოპარვის“ ბრალდებას.

როგორც უკვე თუწყებდნენ, წინათ გამოსულმა მოწმეებმა ამხილეს მთავრობის მიერ დანიშნულ ბრალმდებელთა ვერცხა, რომ პენტაგონის დოკუმენტების პუბლიკაციას ამერიკის პრესაში თითქოს „ზიანი მიეყენებინოს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროებისათვის“.

მიუხედავად ამისა, ხელისუფალნი დღემდე უარს ამბობენ მოხსნან ბ. ელსბერგსა და ე. რუხოს ბრალდებანი, მოითხოვენ გაგრძელდეს ინდონინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული კურსის მოწინააღმდეგეთა სასამართლო პროცესი.

მ ო ნ ე ბ ი თანამედროვე ამერიკაში

ნიუ-იორკი. 23 მარტი. (საკლესი). ფლორიდის შტატში აღმოჩინეს სასოფლო-სამეურნეო მუშათა დიდი ჯგუფი, რომლებიც დამჭირავებელმა მეპატრონეებმა მე-20 საუკუნის მონებად აქციეს.

ფლორიდაში სასოფლო-სამეურნეო მუშების მიიზიდა დაპირებამ, რომ ეკნებათ „კარგი ანაზღაურება“, მაგრამ ისინი ეკატორულ პირობებში აღმოჩნდნენ. 27 კაცი — 26 ზანგი და 1 თეთრკანიანი დაიბინავეს სასოფლო-სამეურნეო მუშათა ბანაკში, რომელიც მათმა „პატრონებმა“ გადააქცეს ნამდვილ სატანტიმროდ. მთელი წლის მუშაობის მანძილზე, ეთხრა ჟურნალისტებს ერთ-ერთმა მუშამ, მათ „სულ თვალყურს ადევნებდნენ“. არავის არ ჰქონდა უფლება არა თუ დატოვებინა ბანაკი, არამედ ახლოსდგომოდა სასაუზმეზეც კი წასულიყო. მცველები ემუქრებოდნენ მათ ცემით, ხშირად კი ფიზიკურ ძალასაც მიმართავდნენ.

დაპირებათა მიუხედავად, მუშები თავიანთი შრომისათვის გროშებს იღებდნენ და მოდამ კვებისა და ბინის ფული იმართათ ბანაკის მეპატრონეებისათვის. მუშათა ნაწილი ბანაკში ოთხ წელს იყო.

ბანგკოკი

ტაილანდის მოსახლეობა

23 მარტი. (საკლესი). 1972 წლის დამლევისათვის ტაილანდის მოსახლეობამ 36 მილიონს გადააჭარბა. წლის მანძილზე მოსახლეობის მატებამ 1,5 მილიონი შეადგინა. ამის იტყობინება ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ბუენოს-აირესი

ეგვიპტის ელჩი ეწვია ბ. ელსბერგს

23 მარტი. (საკლესი). ეგვიპტის ელჩი ეწვია ბ. ელსბერგს, ამბობენ ამერიკელ ჟურნალისტებს ბუენოს-აირესში. ელჩმა ბ. ელსბერგს ბუენოს-აირესში ყოფნის ადგილზე ასეთი ინფორმაცია მიაწოდა: ეგვიპტის ელჩი ეწვია ბ. ელსბერგს,

იშრიალონ ჩვენმა ტყეებმა

ვენაცვალე

მუხიანიდან,
ნიგვზნარიდან,
ბროწეულადან...
თესლი და ნერგი
დღეის დღემდე მოწეულა
და
დარგე,
დათესე,
გაახარე,
ჩემო კეთილო,
რომ ხვალინდელი
საქართველო
გაშლილ ტოტებქვეშ
შემოგეჩრდილოს,
შემოგეთბოს,
შემოგეტკბილოს.
მე ვენაცვალე
ვინც წაბლის ტყეს
აშენებს ახლა
ხვალინდელ ხიდად,
ხვალინდელ სკად,
ხვალინდელ სახლად;
ვინც სოჭს ახარებს,
ვინც თელავში
კვლავ დარგავს თელებს
და ჩვენი მიწის
წყალს და ჰაერს
გაჯანმრთელებს.
მე ვესალმები
ნაბალღვში
ვინც ბალებს აღდგენს,
ნატყეურში
ვინც აღდგენს კვლავ ტყეს
და ვინც უშენებს ბუდეებს
ბარტყებს.
მე ვენაცვალე
იმ კაცური კაცის ნახელავს,
ვინც ახლა ნერგავს,
ახარებს და
უვლის საფრავს,
სუფთა ჰაერით
ცდილობს
ხალხის სულის დალხენას,
თვალის ახელას,
დაუანგული გულის
გაფერვას.
მე ვენაცვალე
ხვალის ტყისთვის
ვინც იმუშავებს
და ჩაუსაგრებს
ჯანმრთელობას
მწვანე გუშაგებს.

გიორგი წერეთელი.

ლენინის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა, ინსტიტუტებისა და სკოლების 300 კომკავშირელი გამოვიდა შაბათობაზე ბელადანში. აქ 20 ჰექტარზე უნდა გაშენდეს ელდარის ფიჭვი. ახალი ტყის გასაშენებლად უკვე მზად არის 20.000 ორმო. სურათზე: კომკავშირელები შაბათობაზე.

ა. ბაბკასიძის ფოტო.

სურათზე: მარცხნივ — დუშან პოპოვიჩი (ფრიდრიხ ტელრამუნდი), შუაში — სცენა სპექტაკლიდან, მარჯვნივ — ერიკა უფკაგენი (ელზა).

„ლოენგრინი" თბილისის სცენაზე



ხ. თევზაძისა და ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კანონი და სამართალი

არამი ლუქმა

როცა მომხმარებელიც ხელს უწყობს დანაშაულს

მჰ, რა ტკბილი ცხოვრება დაენგრა ვლასი ლორიას! თოთხმეტი წლის განმავლობაში ნიავი რა არის, ნიავსაც კი არ შეეშფოთება მისი თჯახის მყუდრობა.

უბედურება უცაბედად და მოულოდნელად დაატყდა თავს. მეხი სწორედ მაშინ დაეცა, როცა ეგონა ფიანდაზად გაიფინა ეს ქვეყანა ფიჭვეშ და საშვალიშვილოდ განიმზადა ყველა ამქვეყნიური სიკეთე.

მერე და რა უბრალოდ და მარტივად მოაწყო ყველფერი! მაღალი პოსტი არასოდეს სჭირია და არც უძებნია, დიდ საქმეებზე არ სდებდა თავს. გამყიდველად მუშაობდა თბილმრეწველჭრობის № 40 აფეჯის მაღაზიაში და ბედის კმაყოფილი იყო. შეეძლო უკეთესი თანამდებობა მოეთხოვა როგორც უმაღლესი განათლების მქონეს, მაგრამ თავი რისთვის ემტვირა. ფული ისედაც ჩეჩქვით ჰქონდა და მოხმარებაც იცოდა. სხვა რაღა უნდოდა ვლასი ლორიასთანა კაცს!

ფული ჩეჩქვით ჰქონდაო?! კი მაგრამ სხვაზე მეტი ფული საიდან უნდა ჰქონოდა მაღაზიის უფროს გამყიდველს?

ახლა ამ შეკითხვას ნათელი და გარკვეული აზრი აქვს და ბუნებრივადაც ეღერს, მაგრამ ამ რამდენშიც თვის წინათ რომ გამოგეთქვათ ასეთი გაკვირვება, სასაცილოდაც არავის ეყოფოდა თქვენი მიამტობა.

ვის უნდა ჰქონოდა სხვაზე მეტი ფული, -თუ არა მაღაზიისა და რესტორნის ბევრ დირექტორს, გამგეს, სექციონერს, გამყიდველს, მებუფეტეს!..

იყო დრო და იყვნენ გარკვეული პროფესიის ადამიანები, რომელთა ფული და სიმდიდრე აღარავის აკვირვებდა. მერე რა, თუ თქვენ უფრო მაღალი ადგილი გიჭირათ საზოგადოებაში, უფრო სასარგებლო საქმეს აკეთებდით და ხელფასიც 2-3-ჯერ მეტი გქონდათ. ფული და სიმდიდრე, როგორც წესი, მაინც მას უნდა ჰქონოდა თქვენზე მეტი. ამის გამო თქვენ არა თუ აღშფოთებას, გოცებასაც კი არ გამოთქვამდით. შურჯული და შეგუებული იყავით იმ აზრს, რომ ფულით, სიმდიდრით, ქონებით ის გვჯობნის, ხოლო რატომ, რისთვის, რა უფლების ძალით, ამას უკვე აღარ კითხულობდით.

რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კიდევაც იბრძოდნენ ამ მუქთად ფულისმსვეფეთა წინააღმდეგ, მაგრამ რაღაც რთული, ძნელად ასახსნელი მაინე ძალების ზეგავლენით ისე იყო მოლოდინური და ჩაზომილი საზოგადოებრივი აზრი, რომ ერთეულთა თავგამოდება ამინდს ვერ ქმნიდა.

ვლასი ლორიას სავაჭრო დარგში მოღვაწეობაც სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა და ამ სტრიქონების მკითხველთა შორის ცოტანი როდი იქნებიან ისეთებიც, რომლებიც კარგად იცნობდნენ ამ პიროვნებას და შემწყნარებლურ, პირფერულ ღიმილოსა შეაგებებდნენ ხოლმე, როცა ის ქედმაღლურად გადმოხედავდა თავისი ნაურდაღლის სიმაღლიდან.

მკითხველთა შორის იქნებიან ისეთებიც, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა ჰქონიათ მასთან, როგორც მომხმარებლებს და გარკვეული წვლილიც შეუტანიათ მის გამდიდრებაში.

აბა კარგად გაიხსენეთ აფეჯის მაღაზია კამოს ქუჩაზე, № 2-ში, კინოთეატრ „ნაკადულთან". თუ თქვენ 1958 წლიდან მოკიდებული გასული წლის სექტემბრამდე ერთხელ მაინც ყოფილხართ აქ, უთუოდ დაგამახსოვრდებოდა ხანშიშესული, დარბაისელი კაცი, რომელიც დიდი თავაზიანობითა და ჟერადღებით შემოგეგებებოდათ ხოლმე: „რა ენებავთ, ბატონო, რით შეგვიძლია გემსახუროთ? ავეჯი?.. ალბათ იმპორტული... ამაზე ხათქვენო არაფერი არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება მოვნა. მოვილაპარაკოთ, შევთანხმდეთ, მოვრიგდეთ..."

გახსოვთ ასეთი კაცი?

სწორედ ის გახლდათ ვლასი ლორია.

შეგიძენიათ მისგან ავეჯი?

თუ არ შეგიძენიათ, გამოტყდით, რომ ფასში ვერ მორიგდით ან მოუხერხებელი ხართ და ალღო ვერ აუღეთ, სათანადოდ ვერ შეიფასეთ ვლასის თავაზიანობა. მისი ღიმილი და შინაურული, ფამილარული ტონი.

ხოლო თუ შეგიძენიათ, იქნებ ისიც გაიხსენოთ, რამდენი გადაიხადეთ?

რა თქმა უნდა, ზედმეტი მიეცით, და თუმცა ახლა ძალიან გვიან არის თქვენი მხრივ ამის გამო სინანული, ჩვენი მხრივ კი საყვედურის თქმა, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ: რატომ შვრებოდით ამას, რატომ იხდიდით ზედმეტს. თქვენ ხომ ამით დანაშაულს ჩადიოდით — ქრთამი მიეცით და სხვაც წააქეზეთ ქრთამის აღებაში. გარდა ამისა თქვენ ამით მომხმარებელს, ვისაც არ სურდა და საშუალება არ ჰქონდა ზედმეტი გადაეხადა, შესაძლებლობა წაართვით შეეძინა იგივე ავეჯი.

ახლა იქნებ თქვენ გულში გეცინებოდეთ, რადგან ამჯერად მხოლოდ ზოგადი და უმისამართო საყვედური ვერგოთ, მაგრამ ეს მეტად პრინციპული საკითხია და საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, სისხლის სამართლის წესით დასჯის ღონისი იყავით და დაისჯებოდით კიდეც. იყვნენ და კვლავაც არიან გარკვეული კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც ყველგან, — მაღაზიაში, კინოთეატრში, საკოლმეურნეო ბაზარშიც კი, — ეწ. წ. ფულიანი ნაცნობობა აქვთ, გადაგიდგებიან წინ, მისცემენ ზედმეტს და ის, რაც თქვენთვის „არ არის", „გათავდა", „არ მიუღიათ", მისთვის ხაჯანგეზოდ არის გადანახული.

ამ მხრივ თბილმრეწველჭრობის № 40 აფეჯის მაღაზია და ვლასი ლორიას სააღებმიცემო პრაქტიკა თავის დროზე გამონაკლისი არ ყოფილა. რასაკვირველია, ვლასისაც თავის ნაცნობთა წრე ჰყავდა, რომლებსაც ენდობოდა, ხოლო ახალ ნაცნობებს ძველთა მეშვეობით იძენდა.

— მაინც რატომ, რატომ შვრებოდით ამას, რატომ აძლევდით ზედმეტს?

— რა მეჭნა, — იტყვით თქვენ, — ხსვანაირად ვერ ვშუოლობდი, მე კი არა, ასე ყიდულობდა ყველა.

არა, არ არის მართალი. ყველა ასე არ იქცეოდა. ბოლოს და ბოლოს ხომ გამორნდნენ ადამიანები, რომლებმაც არ მოითმინეს ასეთი უმსგავსობა და დანაშაულში ამხილეს ვ. ლორია.

1972 წლის სექტემბრის მიწურული იყო, მოქალაქე ტარიელ კასიძემ გაიგო კამოს ქუჩაზე მაღაზიაში იმპორტული აფეჯი მიუღიათ და ამბის გასაგებად მივიდა. ვლასი ჩვეულებრივი თავაზიანობით შეეგება და დაიამედა ორი დღის შემდეგ შემოიარე და „რაღაცას გაგიხარხებო",

მ. მიქაძე,
გ. მეგრელიშვილი,
ნ. ილურიძე.

მგზავრები კმაყოფილი იქნებიან



პირველი აპრელიდან ქვეყნის ავიახაზზე დაწესდება ახალი განრიგი. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა ამ განრიგზე რამდენიმე სიტყვა ეთქვა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ი. ავალიანს.

—ახალი განრიგი,—თქვა მან—მაქსიმალურად ითვალისწინებს მგზავრთა სურვილებს. იგი შეიცვლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ და არა ორჯერ, როგორც ეს წინათ იყო. ახლანდელი განრიგი იმოქმედებს 1974 წლის პირველ აპრილამდე.

ამ განრიგით გათვალისწინებულია ახალი რეისები: თბილის-ცხინვალი, თბილის-ორჯონიკიძე, თბილის-კიშინიოვი, თბილის-ზაქათალა, ბათუმ-ბაკო, ბათუმ-მინერალური წყლები, სოხუმ-ტაშკენტი, სოხუმ-სვერდლოვსკი.

რეესპუბლიკის აეროპორტებიდან მოსკოვის მიმართულებით ყოველდღიურად გაეგზავნება 18 თვითმფრინავი: ცხრა — თბილისიდან, ხუთი — სოხუმიდან, ორ-ორი ბათუმიდან და ქუთაისიდან. ეს ახლანდელზე გაცილებით მეტია.

ქუთაისის მიმართულებით თბილისის აეროპორტიდან დილის ექვსი საათიდან საათში ერთხელ იფრენს ილ-14. სულ დაგეგმილია 18 რეისი — უკანასკნელი 20 საათზე.

თბილის-სოხუმისა და თბილის-ბათუმის საჰაერო ტრასებით პირველი აპრილიდან იფრენენ იაკ-40 ტიპის კომფორტული თვითმფრინავები. განრიგი ისეა შედგენილი, რომ აქეთ-იქეთ მგზავრობა მოესწრის დღის განმავლობაში: მგზავრი დილით გაფრინდეს და საღამოს უკან დაბრუნდეს. ერთი მიმართულებით ფრენის დრო 45 წუთი.

სამრეთ ოსეთში გაფრინდებიან ან-2 ტიპის თვითმფრინავები, ხოლო ორჯონიკიძეში — იაკ-40 ტიპისა. ცხინვალიდან ორჯონიკიძეში თბილისში გადაჯდომით ასევა მგზავრი ორ საათში მივა.

სიახლე განიდა თბილისის ცენტრალურ აეროსაგანგეშოში. აქ დამონტაჟებულია „სირენა-1" ტიპის საანგარიშო-ამოსახსნელი სისტემა. იგი რამდენიმე წუთში აკმაყოფილებს მგზავრთა თხოვნას: მგზავრს მოსკოვის მეშვეობით შეუძლია დაჯავშნოს ბილეთი ნებისმიერი მიმართულებით.

ახალი სალაროები გაიხსნება თბილისში, ყველა შავიზღვისპირა კურორტზე, სადაც ძირითადად უკვე განხორციელებულია ბილეთების ცენტრალიზებული გაყიდვა. ეს ნიშნავს, რომ დამსვენებლებს შეეძლებათ წინასწარ შეიძინონ ბილეთი ყველა სალაროში და ყოველგვარი მიმართულებით. პირდაპირი სატელეფონო კავშირი ექნებათ ბორჯომის სალაროებს თბილისის ცენტრალურ საანგარეშოსთან.

არის კიდევ ერთი სიახლე: თბილისში შეიქმნა ცნობათა ბიურო (ტელეფონი 9-38-06), სადაც დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეეკითხათ დარეკოთ ტელეფონით და მიიღოთ ინფორმაცია თვითმფრინავების მოძრაობის შესახებ.

თავის მხრივ, ვაჭრობის, კავშირგაბმულობისა და ავტოტრანსპორტის საწარმოები ახორციელებენ ღონისძიებებს მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის.

(საქინფორმი).

ფეხბურთის მინდვრებზე

ცნობილი გახდა ფეხბურთში ევროპის ყველა ტურნირის ნახევარფინალისტთა ვინაობა: **ჩემპიონთა თასში** — იტალიის „იუვენტუსი", ინგლისის „დერბი კაუნტი", ჰოლანდიის „აიაქსი" და ესპანეთის „რეალი"; **თასების თასში** — ინგლისის „ლიდს იუნაიტედი", იუგოსლავიის „ჰაიდუკი", პრაღის „სპარტა" და იტალიის „მილანი"; **უეფა-ს თასში** — გფრ-ის „ბორუსია", ჰოლანდიის „ტვენტე", ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპური" და ინგლისის „ლივერპული".

მოგვაყვანს მეოთხედფინალების დანარჩენი შედეგებიც: **ჩემპიონთა თასი** — „ნეარიოლ ფოგია ტაბიშტი" — „იუვენტუსი"—2:2 (2:1), „დერბი კაუნტი" — ჩეხოსლოვაკიის „სპარტაკი" (ტრნავა) — 2:0 (1:0), გფრ-ის „ბავარია" — „აიაქსი" — 2:1 (2:1); **თასების თასი** — რუმინეთის „რაპიდი"— „ლიდს იუნაიტედი" — 1:3 (0:2), „ჰაიდუკი" — შოტლანდიის „ჰიბერნიერი" — 3:0 (2:0), „სპარტა" — გფრ-ის „შალკი 04" — 3:0 (1:0); **უეფა-ს თასი** — „ბორუსია" — გფრ-ის „კაიზერსლაუტერნი" — 7:1 (2:1), „ტვენტე" — იუგოსლავიის „ოფკ — ბელგრადი" — 2:0 (2:0), პორტუგალიის „ვიტორია" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" — 2:2 (1:0), „ფორ-ინდმ" — „ლევერპული" — 0:1 (0:0).

□

კალათბურთის ფარეგთან

კლერმონ-ფერანი. რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა დიდი უპირატესობით მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური მატჩი საფრანგეთის კლუბ „კლერმონ-ფერანთან" — 64:44. ლატვიელთა ცენტრმა ულიანა სემონოვამ 27 ქულა მოუტანა გუნდს. საპასუხო შეხვედრა გაიმართება 28 მარტს რიგაში.

ლიეჟი. ცსკა-ს ქალთბურთელებმა ანგარიშით 66:71 (29:41) წაეგეს ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი იტალიის „ინისს" (ვარეზე) კლუბთან. იტალიელებმა ზედიზედ მეორედ მოიგეს ეს საპატიო თასი.

□

ნონა ამარცხავს პიხო